



კვირა, 28 ივნისი | მიიღება ხელმოწერა 1915 წ., თეატრი და სსოვნება № 26 — 1915

ქართულ მაკვალთანთა ნოვერი



სახალხო მოღეჲსე მომღერალი — აშული
 ალი-ჩაუშ მისირ-თლი — მოსიძე თაეისი შვილი-შვილებით
 (ამოღებულია აკადემიკოს ნ. მარზის წიგნიდან)

წ ვ რ ი ლ ი ა მ ბ ე ბ ი

◆ **ქართველ მაჰმადიანთა** შესახებ ქართველი საზოგადოების მოწინავე პირთ განუზრახავთ დაწერილებითი მონსენება წარუდგინონ უმაღლეს მთავრობას.

◆ **ქართული საჰველმოქმედო საზოგადოების** დაეალებით ქართული ჟურნალ-გაზეთების „სახალხო ფურცელის“, „თანამედროვე აზრის“, „თეატრი და ცხოვრების“, „საქართველოს“, „ჯეჯილის“, და სხ. წარმომადგენელთ ვადანწყვეტეს გამოსცენ „აქარელთა გაზეთი“, რომლის შემოსავალი გადაიდება ქართველ მაჰმადიანთა სასარგებლოდ. გაზეთი გამოვა 15 ივლისამდე. სარედაქციო კომისიაში აირჩიეს: ს. ფირცხალავა, გ. ცინცაძე, კ. პ. თუმანიშვილი, პ. საყვარელიძე და ს. კელია.

◆ **თავ. დიხ. იმ. ჩოლოყაშვილი** იკისრა თავისი ხარჯით აღზარდოს ქართველ მაჰმადიანთა ორი ობოლი — ძმანი დიხამიძენი.

◆ **ქართველმა ქალმა** ეს ერთი თვეა თბილისში, გოლოვინის პროსპექტზე საჩივე და სხვა სასმელ წყლების სავაჭრო გააღეს „ქმური ნუგვის“ სახელით, რომლის წმინდა შემოსავალი გადაეცემა ომისაგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანთა ოჯახებს. სავაჭროში შორიგეობით მასპინძლობენ ქართველი ქალ-მანდილოსნები. სავაჭროს დიდძალი მუშტარი ეტანება.

◆ **ჩვენი ცნობილი მწიგნობარი** ხ. კიკინაძე პეტრეს წიგნს (ზეპირ გადმოცემებით შეკრებილ ცნობებს) „ქართველების გამამადიანება“. წიგნი 200 გვერდამდე იქნება და ივლისში გამოვა.

◆ **ქართული ჭიგნოსაცავ-სამკითხველო** დაარსებულია მხოლოდ ქობულეთში, 1913 წ. უმთავრესად ლეონიდ ეპისკოპოსის-მიერ შეწირული წიგნებით. ამ წიგნთსავე-სამკითხველს გამოევა გულთალა კაიკაციშვილი.

◆ **დაზარალებულ აზარაელთა** და ერთობ ქართველ მაჰმადიანთა სასარგებლოდ ქართულ გაზეთების „სახ. ფურცელს“, „თანამედროვე აზრის“, „თეატრი და ცხოვრების“ და სხ. რედაქციებში დღემდე შემოწირულება შემოსულა დაახლოებით 10,000 მ.

◆ **გაბიკვიზულ-დაგვიულ** ქართველ მაჰმადიანთ ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ დღემდე შემდეგი შემწეობა აღმოუჩინა: ჯერ-ჯერობით გაუგზავნა სამი ვაგონი სიმინდი, სამეურნეო იარაღები, სხვა და სხვა საოჯახო ნივთები და ფული, რომლის რაოდენობა განსაზღვრული არ არის. სიმინდს კიდევ თანდათან უგზავნიან. ამავე საზოგადოების ბათუმის განყოფილებამ თავის მხრივ შეიძინა 5 ვაგონი სიმინდი მაჰმადიანთ შორის დასარიგებლად.

◆ **მოწოდება გამოცდა** ქართ. საქე. საზოგადოებამ ქართველ მაჰმადიანთა შესახებ ერთ დღეს გაზეთ-ჟურნალის გამოცემის შესახებ და ყველასა სთხოვს, განსაკუთრებით დაბა-სოფლის ინტელიგენციას და აგენტებს, ამ გაზეთის ერთ დღეს გავრცელების საქმე დროით მოაწყონ, რომ რაც შეიძლება ბევრი გაიყიდოს. ცნობისთვის უნდა მიმართონ: Тифлисъ, Дворцовая, д. Сараджева 6, Вас. Рос Кипиани.

◆ **ს.საშვაკელიძემ** და **კ.პამთარაძემ** ქართ. საქე. საზ. დაეალებით ამას წინად მოიარა ეს დაზარალებულ აქარის სოფლები და ფრად საყურადღებო მონსენება წარუდგინეს საზოგადოების გამგეობას.

◆ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას** განუზრახავს ქართული სკოლები დაფუძნოს ქართველ მაჰმადიანთა შორის.

◆ **დღემდე ქართველ მაჰმადიანებში** არა ქართული სკოლებია, რომლებშიც მხოლოდ თურქულ-არაბულია და რუსული ერთ ასწავლიან, ქართული კი განდევნილი იყო. ახლა უკვე თვით ხალხი თხოულობს სამშობლო ქართული ენით სწავლის შემოღებას.

◆ **ქართველ მაჰმადიანთაგან** თბილისის და ბათუმის გიმნაზიებში ამ ეამად სწავლობს ოცდაათამდე ყმაწვილი.

◆ **რედაქციისაგან:** რადგან „თეატრი და ცხოვრების“ ეს ნომერი სრულიად ქართველ მაჰმადიანთ ეძღვნა, ამიტომ მორიგი მასალა შემდეგისთვის გადაიღო.

ამ ნომრისთვის დაგზავნული მასალები: „განდევნილი“, შ. ხონელისა, „სამშობლოს სიყვარული“ ილ. ნემოძირელისა, „შემლილი“, ს. ერთაწმინდელისა, „ბასი აქარელთან“, ტრ. ინასარიძისა და სხ. უადგილობის გამო შემდეგი ნომრებისთვის გადაიღო.





№ 26

წელიწადი
8 მ ს ა მ მ

წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში. მისამართი: Тифლის Ред. „Театри да Цховრება“ I. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთაწერები საქიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 26

კვირა, 28 ივნისი

1915 წ.

28 ივნისი

სულმა სული იცნო

„ნაგუბარში ჩადგე წყალო!—“ო უაზროდ არა მღერის ჩვენი ხალხი...

ამ სიტყვების სიბრძნე საუკუნოებით გამოიქვდა, რადგან შორეულ წარსულიდან მოყოლებული ქართველთა ცხოვრების წყალი ხშირად იმღვრებოდა, ბუნებითი კალაპოტს გადასცდებოდა, თითქო „გუბე შრებოდა“ კიდევ, მაგრამ ბოლოს მაინც თვის კალაპოტს იპოვნიდა ხოლმე: ნაგუბარში წყალი ჩადგებოდა...

სწორედ ისტორიის ჩარხის ასეთმა ტრიალმა გააკაჟა ჩვენი ერი... შოთამ ტყუილად კი არ გვიმოდკრა: „ჭიანჭის შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვეთკიანის“—ო!

ჩვენი უძლებდით ათასნაირ კირ-ვაებას და, დროებით აზრ-დაკარგულნი, ერთმანეთს მოწყვეტილნი, ბოლოს თავის თავს ვსცნობდით, შევიკრიბებოდით „ერთად მოყმე და მსკოვანი“, რადგან შევიგნებდით რომ ერთად მცხოვრებნი ძლიერი ვიყავით, განცალკევებულნი კი დასუსტებულნი, ნაძრახი სიცოცხლით მლოდავნი და ვრწმუნდებოდით, რომ

„სჯობს სიცოცხლეს ნაძრახს, საკვდილი სახელფანსი!..“

მრავალ საუკუნიანმა აშკარა თუ საიდუმლო ომ-ბრძოლამ, შინა თუ გარე მზაკვრულმა მოქმედებამ საქართველო დაჰკუწა, დანაწილა, ქართლოსიანთა შეილნი დაჰფანტა...

ვის ქვეშევრდომად და რომელ სარწმუნოების აღმსარებლად არ გამოდიოდნ ქართველთა ძენი: ოსმალთ, სპარსთა და სხვათა!..

ქართველი მაჰმადიანები, ქართველი სპარსელები და... ქართველი რუსებიც... სად არ არიან..

სამშობლო კერას მოწყვეტილნი, თავგზა დაკარგულნი...

ერთი ნაწილი ოსმალთ მოგვწყვეტა, მეორე—რუსეთს შეუერთდა თავის ნებით, რამდენიმე ასი ათასი ქართველობა—სპარსელებმა გადირეკეს...

მაგრამ აღმართს დაღმართი ჰქონია: საუკუნოებით განშორებულნი ძმანი დღეს ერთმანეთს ვუბრუნდებით, ერთმანეთს ვსცნობთ...

და რაც უფრო სწრაფად მოხდება ჩვენი ურთიერთის გაცნობა-შეგნება, მით უფრო ჩქარა ეღირსება ჩვენი სამშობლო ბრწყინვალე დღეს.

მაგრამ ნუ ვინ იფიქრებს, თითქო ჩვენი გაერთიანება ზევდან შეიძლებოდეს...

დღემდე თუ ის ვერ შესძლეს, რომ სარწმუნოებით მაჰმადის მიმდევარი ეროვნულად მოეკლათ და დღეს სულმან სული იცნო, არც ის შეიძლება, რომ მხოლოდ ცალიერი სურვილით ზევდან შეიძლებოდეს მთელი ერის ამოძრავება...

თვით ხალხმა—როგორც ქრისტიანმა ისე მაჰმადიანმა ქართველმა ხალხმა—უნდა გამოიღოს თავი ურთ-ერთთან დასახლოვებლად...

ამისი მთავარი გზა-კი კულტურული მუშაობაა...

ქართული სკოლების გახსნა, ქართული მწიგნობრობის გავრცელება, ქართული თეატრის დაარსება,—აი გზა და ხილი!

თეატრი და მწერლობა,—აი, ორი უდიდესი ამოძრავებელი ძალა, რომელმაც გა-

სულ საუკუნეში საღათას ძილისაგან გამოაფ-
ხიზლა ქართველი ხალხი, გაათვითცნობიე-
რა და საკუთარ ცხოვრების გზაზე გამოიყუ-
ნა....

ამასავე შესძლებს თეატრი და მწერლო-
ბა ქართველ მაჰმადიანთა შორის, მხოლოდ
საქმის გაძლოლა თვით ადგილობრივმა ძალებ-
მა—შეგნებულმა პირებმა და ხალხმა უნდა
იკისრონს..

რაც უფრო სასტიკია შევიწროვება, დაე,
მით უფრო მტკიცე იყოს წინააღმდეგობა
საშობლო მიწა-წყალზე დასადგომაჲ, თვისი
ეროვნული ვინაობისა და ენის შე'ანარჩუნებ-
ლადა და განსაძლიერებლად...

სულმა სული იცნო და მაშ შევიტკობთ
ურთი-ერთნი...



უქმად არ გაჰქრება!..

თვითარსებობისთვის დანთხეული მამაპა-
თა უმანკო სისხლი უქმად არ გაჰქრება!..

არ გაჰქრება მრავალ საუკუნეთა უწი-
ნარეს შექმნილი ქართული ეროვნული კულ-
ტურა, რომლის ნაშთი დღეს გულსაკლავად
გამოიყურებიან ქოროხის მიდამოებში. .
და აკი არც გაჰქრა!..

დღესაც თვალწინ მიდგას თეთრწვერა,
ნათელა ქობულეთელი მოხუცი, რომელმაც
ისტორიული სიტყვა წარმოსთქვა 8 თებერ-
ვალს ერენის მოედანზე, აკაკის ცხედრის
წინაშე!..

ეს იყო გულო ალა კაიკაციშვილი!

სიტყვა მისი გულისგულიდან იყო აღ-
მომსკლარი, მთელ გამაჰმადიანებულ ქართველ-
თა გულის ნადები...

— თქვენი ძმები ვართ, შავ დროთა წყა-
ლობით თქვენგან მოწყვეტილნი, ხელი გა-
მოგვიწოდეთ, გვიშველეთო!..

დღესაც ყურში უწივის ყოველ ქრის-
ტიან ქართველს თავის მაჰმადიან—ქართველი
ძმის სიტყვა...

და ქრისტიანი ქართველი არ მოისვენ-
ებს, სანამ ფეხზე არ წამოაყენებს დღეს
წაბორძიკებულ თვის ძმას და მით თვითონაც
წელში არ გასწორდება...

არ გაჰქრება სულმნათ შოთა რუსთვე-
ლის, იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინ-

დელთა და სხვათა წარმომშობელი დიდებული
მესხეთი, ძველი ტაო-კლარჯეთი, ჩვენის
კულტურის პირველი აკვანი. .

კვალად ამეტყველდება ენა მათი, ოქრო-
პირული სიტყვა მათი, მათი, რომელთაც ქარ-
თლი განაბრწყინეს და ქართლოსიანთა
ძეთ მრავალ-საუკუნეთა განმაგლობაში ეროვ-
ნულ ნიადაგზე გაათვითცნობიერების მაღალ
მისწრაფებათა აკვანი ურწყის...

მოახლოვდა ჟამი ჩვენის განახლებისა...

დადგება დრო და, ძმანო ქართველ მაჰმადია-
ნო, თქვენს შევიწროებასაც ბოლო მოეღება!

თუ ღამეა—დღეც იქნება, უეჭველად
გათენდებაო!—ტყუილად კი არ ამბობს ჩვენი
დრამატურგი ი. გედევანიშვილი ერთი გლე-
ხის პირით...

და ეს მაშინ იქნება, როდესაც თქვენც
დაუბრუნდებით დედა-საშობლოს, მისი ძუ-
ძუთი ისაზრდობთ, მისს მკერდს მაგრა
ჩაებლაუქებით, სიცოცხლით და სიკვდილით. .

ერთობის მქადაგებელ წინაპართა ანდერ-
ძი უქმად არ უნდა გაჰქრეს...

და არც გაჰქრება!..

სალამი ჩვენს ძმებს—ქართველ მაჰმადია-
ნებს და ჩვენი ერის გამთელების პირველ
მერცხალთ!..

იოსებ იმედაშვილი



აჭარის მუფთი ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი

განიერი, ტბილი მოქართულე ხოჯა; ჯერ
კიდევ ოსმალთ ბატონობის დროს, მესამოცე წლებში,
ჯაჰეში ქართულად ჰქადაგებდა და „ყურანსაც“ ქარ-
თულად უხსნიდა მრევლს, რის გამო სტამბოლს გაიხ-
მეს და სამართალში მისცეს, მაგრამ თავი იმართლა:
„ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი ენაც ქართულიაო.“
1879 წ. შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა ქართ. მაჰ-
მადიანთა ოსმალეთში გადასახლების წინააღმდეგ და
მათი გადახვეწა შეაჩერა.

ზ ე მ ო მ ა რ თ ლ ი

ანუ

გამაჰმადიანებული საქართველო

ეგელას ზირზე აჭარა აკერია. ბევრსა ჭკონია, რომ მარტო აჭარა დასაჩაღდა და დაიდუმა. ეს შეცდომაა და საჭიროა ამ შეცდომის გასწორება, აჭარა მხოლოდ ერთი კუთხეა ქართლისა ანუ გამაჰმადიანებულ საქართველოსი.

საოცრად გვიყვარს ჩვენის სამშობლოს დაწიწკენა, დაფლეთა და შემეობა სხვა და სხვა სახელებით. ეს, რასაკვირველია, ნაშთია ჩვენი წარსულისა, ისტორიისა.

ერთმთავრობას აღმაცურად უყურებდნენ ჩვენი წინაპრნი და ყოველი კუთხე იმის შეცდინებობაში იყო, რომ სახელი არ მოშლიდა, არ წაშლიდა. საერთო სახელი „საქართველო“ თითქმის მუდამ ჩრდილ მიეყენებოდა იყო ამ აუარებელ სახელწოდებით.




ხოჯა ცივაძე

ქართველ მაჰმადიან ხოჯებში შეგნიება-განვითარებით პირველი ადგილი უჭირავს და ნამდვილ ქართველ ხოჯად ითვლება.



ზ. ჭიჭინაძე

ქართველ მაჰმადიანთა ამბების აღმწერი.



სამაჰმადიანო საქართველო, ანუ ძველი მესხეთი (ზემო ქართლი)

რაც წინადა იყო, დღესაც ისაა. აუარებული სახელწოდებითაა შემეული და დაჯილდოებული მატარა საქართველო. აბა სცადეთ და ათქმეობით კახელ გლეხს, ან იმერელს, ან მეგრელს, რომ იგი ქართველია და არა კახელი, იმერელი, ან მეგრელი. რაც განვითარებულმა და ნასწავლმა ქართველმა შეიგნო, ჯერ ვერ შეუგნია მდაბიო კაცს.

დიდი სიჭრელეა აგრედვე სარწმუნოებისა. ძველად თუ ერთს მივსდევდით, დღეს ქართველთა დანაწილდა სხვა და სხვა სარწმუნოებად, მაგალითად არის ქართველი ბერძნის რჯულისა, ანუ მართლმადიდებელი; ქართველი კათოლიკე, ანუ ძველებურად ფრანგი; ქართველი — გრიგორიანი, მიმდევარი წმიდა გრიგორის სარწმუნოებისა და ქართველი — მაჰმადიანი, ესე იგი ის ქართვე-

ლი, რომელსაც სწამს სწავლა და მოძღვრება დიდის წინასწარმეტყველის მკვამლადისა.

მართალია, დიდა სიჭრელე სარწმუნოებისა, მაგრამ იგი სიჭრელე არ უნდა უშლიდეს და არც უშლის ხელს საქართველოს ერთიანობას, მთლიანობას და მის ერთგულ სიმტკიცეს. სისხლით, ჩამომავლობით, ენით, ისტორიით, ქიროთ და ღვინით ერთნი ვართ, განუყოფელი და მომავალიც ერთი უნდა გვქონდეს, ერთად უნდა ვსწოთ ჭაპანი. შეერთებით გავდივართ და მამან აღვიღად ავიტანთ კარზე მომდგარ ჭირსა, მტერსაც უფრო მხნედ, გაჟატურად დაგუსხდებით. ხელის შემშლელი ასეთის ერთობისა მტერია ჩვენის ქვეყნისა და უნდა ვერიდნეთ მას, როგორც სატანას.

საქართველო იყოფოდა სამს დიდ ნაწილად დღესაც ვუფოთ ასე ჩვენს ქვეყანას. დასავლეთი საქართველო, სდაც მოთავსებულია: იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა, სამურზაყანო, სვანეთი, წებულა, აფხაზეთი. აღმოსავლეთი საქართველო, ანუ ქვემო ქართლი. აქა ქართლი, თრიალეთი, კახეთი, სომხეთი, გარეთკახეთი, სანჯილო, ქიზიუი, თუშეთი, ფშავეთი, ხევსურეთი, მთიულეთი, ხევი, გუდამაყარი და ოსეთი. ასეთივე სიმრავლეა სასელწოდებისა ზემო ქართლში, ან გამაჰმადიანებულ საქართველოში. საქართველოს ამ ნაწილს უჭირავს მდინარე ჭროხის ხეობა და მდინარე მტკვრის სთავე. აქ იყო და არის დღესაც: ქობულეთი, მოსახდრე გურიისა; აქარა ზემო და ქვემო, მდებარე მდინარე აჭარის წყლისხეობაში; შავშეთი აჭარასა და ართვინს შუა; ქანეთი ანუ ლაზისტანი, შავ ზღვასა და ზონტოს უღელტეხილ შუა მდებარე; ლივანა ან ლივანის ხევი, მდებარე მდ. ჭროხზე აჭარის წყლის შესართავიდან ართვინამდინ; კლარჯეთი ჭროხის მარცხნივ ზონტოს უღელტეხილამდე; კლარჯეთი უწევდა ჭროხის სთავეს და მიდიდა ბაიბურთამდე; ტაო ან ტაოს-კარი ჭროხის მარცხნივ; სამცხე, ჯავახეთი, ხოლო ჭავჭავეთის სამხრეთ-დასავლეთით მდ. მტკვრის მარცხნივ ერუშეთი. ერუშეთის მოსამზღვრედ სდევს არტანი, ხოლო მის სამხრეთად კოლა. კიდევ იყო წყრილი და ზატარა კუთხენი, როგორც

ხულორეთი, აბოცი, თორთომი,*) პალაკაციო.

ზემოქართლს ხშირად ეკუთვნოდა ხოლო ქ. კარი (ყარსი), ბასიანი, ისშირა და თვით აზრუმა (კარნუ-ქალაქი), ჭანეთის სამხედვარი დასავლეთით უწევდა ქ. ტრაპიზონს (ცხვირი კემერი, ან რკინის ზალო.**)

მომეტებული ნაწილი ზემო ქართლისა რუსეთს ეკუთვნის, დარჩა მხოლოდ მცირედი ნაწილი სახმელაში, თერთომი და ნაწილი ჭანეთისა ისევ ოსმალეთს უჭირავს ტრაპიზონით.

ადმინისტრაციულად ზემო ქართლი ასეა დაწესებული დღეს. ბათუმის ობლასტი,—აქ ორი ოლქია: ბათუმისა და ართვინისა; არდაგანის და ოფთისის ოლქები ყარსის ობლასტისა და ორი მარა ტფილისის გუბერნიისა: ახალციხის მარა და ახალქალაქისა. სულ ოთხი ოლქი და ორი მარა.

შავშეთ კლარჯეთი და ტაო, ამობს ჩვენი ნიჭიერი ისტორიკოსი ივ. ჭავჭავაძის, მერვე და მეცხრე საუკუნეს ქრისტეს დაბადების შემდეგ, იყო ახორებული, უშენი და უშვიდრო. უდაბურ ქვეყანას მიწვა ქართლიდან ერი, განშენდა, აყვავდა და შემდეგ კისრად იდგა საქართველოს გაერთიანებას.

დღეს, ზემო ქართლის ექვს ადმინისტრაციულ ნაწილში ბინადრობს ქართველობა: მართლმადიდებელი (ახალციხეს, ჭავჭავთის და ბათუმს), ფრანგი (იქვე და ართვინს) და ქართველი მკჷმადის რჯულ-კანონისა. რადენობით და ერის სიუხვით სჭარბობს ქართველი მკჷმადიანი.

ქართველების გარდა ბინადრობენ ზემო ქართლში: ჭავჭავთის, ქ. ახალციხეს და მის მარაში აზრუმიდან გადმოსული 1830 წ. ებისკოპოს კარაშეტის მეთაურობით და წინამძღოლობით სომეხი—გრიგორიანები და ფრანგები სომეხნი გაბეულად სცხვრობენ სხვა ადგილებშიც. ქართველებს და სომეხებს გარდა ზემო ქართლში სცხვრობენ: რუსები, თურქები, თარაქამა და ბერძნები. ესენი უფრო არდაგანის ოლქში.

დაახლოებით სამი მეოთხედი ზემო ქართლის მკვიდრისა ქართველობაა, ხოლო ერთი მეოთხედი უცხო ტ მისანი. **ალ. ყიფშიძე**

*) თორთომის სამხრეთ-დასავლეთის სამხლვარს ერქვა გზა ქართლისა, ანუ საქართველოს ყელი, თურქულად გურჯი ბოლზი.

***) ასეთი მოხაზვა ქანეთისა სრული არ არის-ტრაპიზონი სატახტო ქალაქია ქანეთისა და მამასადა. მე ქანეთის დასავლეთის სამხლვარი უნდა იყვეს ტრაპიზონის დასავლეთით.

შერიფ-ბეგი სიმშიაშვილი

(აქარის ისტორიიდან)



შერიფ-ბეგი სიმშიაშვილი

იმ დროს, როდესაც ბათუმის მხარე და მასთან ერთად აჭარა რუსეთს უერთდებოდა, 1878 წ., სტოგრობდა და მოდგაწყოდა ერთი ქართველი მამულისა, სახელდობრ შერიფ-ბეგი სიმშიაშვილი, რომლის გულითადაც სურვილი იყო ქართველი მამულისა დასაბრუნებლად ქართველებს — შეერთებდნენ. ის იყო ბეგი, კარგი სახელ-კარის, ადგილ-მამულის და სიმდიდრის პატრონი და დიდად მამულებს იმსახურებდა. მანამ ვერც მამულებს, ვერც სიმდიდრეს და ვერც დიდებამ ვერ დაწვიწვიებდა შერიფ-ბეგს თვისი საერთო სამშობლო საქართველო, რომლის სვე-ბედთან დაკავშირებული იყო მისი კერძო სამშობლოს აჭარის სვე-ბედიც შენგინდმეტე საუკუნედის, როდესაც ეს მხარე ოსმალებმა დაიმორჩილეს.

მეთვრამეტე საუკუნეში აჭარის პატარა-პატარად გახდა აბდულ-ბეგი, ჩამომავლობით ქართლიდან, გვანდ თავადი სიმშიაშვილი. ის მოჭკლეს სოფ. აკეთში 1782 წ., როდესაც ამ სოფელს თავს დაესხა თავისი რაზმით. მისი შვილი იყო სელიმ-ოღაშა, რომელიც სულთანს თითქმის არც კი ემორჩილებოდა და თავი მისგან დამოუკიდებლად ეჭირა... სელიმ-ოღაშა მოჭკლეს ოსმალებს დალატით 1815 წ. მისი ორი ვაჟი ახმედ-ბეგი და აბდი-ბეგი სიმშიაშვილები 1828-1829 წლებში მონაწილეობას იღებდნენ ოსმა-

ლეთთან ერთად რუსთა წინააღმდეგ ომში... ახმედ-ოღაშა 1836 წ. გარდაიცვალა... სწორედ ამ ახმედ-ოღაშის შვილი იყო შერიფ-ბეგი სიმშიაშვილი, რომლის დედაწილი აჭარელ ქართველ მამულისა დასაბრუნებლად დაუფიქრებია... შერიფ-ბეგის სახელი დიდების სიბრტყეზე შემოსილია: მისი ქართველური შეგნება — საქართველოდ გაუხდა ქართველ ქრისტიანების და ქართველ მამულისა დასაბრუნებლად ერთობას... უფუფივე კეთილი, უფუფივე დიდებული და მძალდი რამ შეგნების, იდეის დეიდი შვილია... რამდენადაც შეგნება მტკიცე და სადაა, იმდენად მისი შვილი — უფუფივე კეთილი საქმე — მტკიცე და სადაა. შერიფ-ბეგი მამულისა იყო სჯულით, — მაგრამ ცხადად გრძობდა, რომ ტომით, სისხლით, ჩამომავლობით ქართველი იყო... მისი და მიუხედავად, რომ იგი მამულის სჯულით წესებს მტკიცედ ადასრულებდა, მაინც სცნობდა შესაძლებლად თავი ქართველად გამოეცნადა. და ის მართლაც იყო ნამდვილი შეგნებული ქართველი მამულისა.

ამ დროს ადგილი იქონიეს „დროების“ რედაქტორი განსვენებული სერგი მესხი შეხვედრას შერიფ-ბეგთან, რომელიც იმ დროს რუსთა მხარეზე იყო გადმოხული, 1878 წ. 19 ივნისს: „შერიფ-ბეგი 45 წლის კაცია. „დიდაკობა“ იმას პირველ შეხვედრებზე ეტყობოდა: გადაშლილი შუბლი, ნათელი სახე, თეთრი კანი, პატარა ნაზი ხელები, დინჯი დარბაისლური მიხვრა-მოხვრა და წყნარი, მშვიდობიანი ლაპარაკი. ზორბა ტანზე ქართული კაბა აცვია და მხრებზე დაკრებული ახალი პგონები ამტკიცებენ, რომ ის რუსის დენერალია. შერიფ-ბეგი წმინდა, ნამდვილს ქართულს ლაპარაკობს, მხოლოდ სიტყვების გამოთქმის გურულად უქცევს, მაგრამ აუჩქარებლად და წყნარად ლაპარაკობს და ისეთი ტკბილი „სიტყვა-პასუხი“ და უბრალო ლაპარაკშიც კი ისეთი, თითქო ორატორული საუბარი აქვს, რომ მგონი თავის დღეში არ მოგწყინდებოთ, — იმას ყური უგდოთ. ერთი სიტყვით როგორც ძველი დარბაისელი ქართველი თავადი შვილის ლაპარაკი ვაგიგონიათ, ისე ლაპარაკობს...“

შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილი დრმად დარწმუნებული იყო, რომ აჭარის ბედი გაუმჯობესდებოდა, უკეთეს საქართველოს შეუერთდებოდა. იმან კარგად იცოდა, რომ საქართველომ შეტყობილ სსუკუნის დასაწყისში თავისი თავი ერთმორწმუნე რუსეთს შეაფარა... ასე იყო თუ ისე, მას უკან ქართველმა ხალხმა ნელის ნაბიჯით წარმატების გზით მსვლელობა იყო. ითვისებდა ევროპის განათლებას, სწავლობდა მშობლიურ ქართულს და სახელმწიფო რუსულს ენას, ამ ენათა საშუალებით იმდიდრებდა თავის განების სასარგებლო ცოდნით.. ყოველივე ეს ზედმიწევნით ესმოდა შერიფ-ბეგს, და მისი გულისათვის სურვილი იყო მთელი თავისი სამშობლო რუსეთის საზღვრებს შორის მოქცეულად ენახა... ამის შედეგებით ახსენება ის თანაგრძობა, რომლითაც იგი ეპურება რუსეთს.. აი რას სწერს შერიფ-ბეგი 1879 წ. „დროება“-ში თავის ოსმალთა ხელში ყოფნის შესახებ:

„მე კერძოდ ჩემი ღირსების შესაფერად მომეტებული სახელიც მქონდა, პატივიც, კარგი ყოფა-ცხოვრებაც და სიმდიდრეც მამა-პაპეული, თუ ჩემგან შეძენილი, რომლით შემედლო თავისუფლად ოსმალურ ვალადებით და შვებით სიცოცხლე, მაგრამ ესე ყველა გარეგნული გამოჩენილობა თვალში სულ არაფერად არ მომიღოდა.. მუდამ ცდილობდი ჩემი თავის და ჩემთა მოძმეთა გამოხსნას ჩემი ქვეყნითურთ. 1877 წ. ომიანობის მოღმა, ჩემდა საუკუნო სასიხარულოდ, მომეცა საშუალება რუსხელმწიფის მფარველობის ქვეშ შესვლისა მცეცა და ჩემს თანამემამულეთაცა ჩვენს მრავალ რიცხვედ ძმათთანა შეერთებითა“..

და ეს შეერთება მოხდა 1878 წ. შემოდგამაზე ბერძნისი კონგრესის შემდეგ..

შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილი იყო იმ დეპუტატის ერთი წევრთაგანი, რომელიც თბილისში ჩამოვიდა ქართველებთან დასახლოვებულად და რომელსაც მაშინდელ ქართველმა მოდგაწევებმა შესაფერი ნადიმი გადაუსადეს.. როგორც ქართველი მაშინდელი მოდგაწევი, ისე თვით ქართველ მაჰმადიანებსა დეპუტატები ერთს და იმავე სახსარს უხვევენენ წერილებსა თუ ზეპირ სიტყვებში იმ ერთობის გასამტკიცებლად, რომლის დასაწყისი 1878 წ. ჩადგა... ეს

სახსარი სწავლა, ეს სახსარი ცოდნა, რომლის შეთვისება ბუნებით ნიჭიერ აჭარელს და სხვა შესობელ ქართველებს ადვილად შეუძლიათ. ცოდნა თვალს აუსვლს აჭარლებს, დაინახებს წარსულს, შეაგნებინებს აწმყოს და მიუთითებს საუკეთესო მომავალზე. შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილი ამის შესახებ 1878 წელში გულახდილად ეუბნებოდა ქართველებს:

„კი იქნებოდა, რომ აპარლებიც ქართველებთან იყვნენ შემოერთებულნი. მაგრამ თუ აგი არ მოხდა, საცა უნდა იყვნენ, ვინატროთ, ბედნიერათ იყვნენ. განათლება ეკირება, ბატონო, იმათ. ამდენი ახალგაზრდაი კაცები ხართ, განათლებულები, წადით, გეიცანით, ზოგი აქ მოიყვანეთ, სკოლა გამოართეთ, ასწავლეთ და ესე უნდა. აბა, რა ძმა ხართ, თუ ისე აბდლორად დატოვთ?!“.

ჩუკვირდით ამ სიტყვებს, რომლებშიც გამოხატულია ქართველ ქრისტიანების საქმის უმთავრესი საგანი აჭარაში. პირველი და უკანასკნელი ასე ამ პრეზამიას არის სკოლა, ცოდნა, ხალხის ეროვნული გამოფინილება. აი რადენ მადლა იდგა შეგნება შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილისა 1878 წლის 19 ივნისს, მაშინ, როდესაც აჭარის საქართველოსთან შემოერთების შესახებ მოლოდ ხმები ისმოდა. მაგრამ დღეს ეს შემოერთება ოცდახვამეტი წლის მომხდარი საქმეა... ქართველ ნიჭიერ მუშაკებს არ შეუძლიათ სთქვან, საქმეს გერ ვმოვიდობათ: ფართო გზა, დიდი საბოიელი ესენებათ სამოქმედოთ: მთელი სამაჰმადიანო საქართველო ედის მათგან დახმარებას როგორც ნოვთიერსა, ისე გონებრივს ამ ჩვენს შავს და ძნელს დროში... იღია ჭავჭავაძე ბრძანებს:

„საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დიხარულია!“

სწორედ ბედისგან დახარულ აჭარლების შევლა და დახმარება ქართველ ქრისტიანთა მხრით, როგორც ნოვთიერი, ისე გონებრივი, დაამუარებს ამ ორ ძმათაშორის მტკიცე და შეუწყველს ერთობას.. ამის შედეგებით აღსრულდება სავსებით შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილის ანდერძისებური ზემოდ ამოწერილი ჭაზრი. შედრებით ქრისტიან ქართველებთან ქართველი მაჰმადიანები ბედით დახარულნი არიან, და-მად-

ლობა დმურთს,—რომ ზირველთ გაითვადისწინეს მეორეთა უნუგეშო მდგომარეობა... და სხვა ქართველ ქრისტიანთა თანაგრძნობისა და ძმურის ნუგეშისა ქართველ-მაცმადიანთა შიშართ ელვის სისწრაფით გავრცელდა უკანასკნელთა სამშობლოში, და იმედ-მოსილმა გულის ძველამ მოიხატა მათი დაწვეულულებული ზრეობა...

აი რას სწერს აჭარელი მიქელაძე გაზეთ „თანამედროვე აზრის“ მე-68 ნომერში ამ საგნის თაობაზე: „ქირმა დაგვარწმუნა აქარლები, რომ ჩვენ ქრისტიან ძმებს უზოდოდ ვყვარებივართ. გაზეთით ვგებულობთ, რომ ყველა კუთხეში მყოფი ჩვენი ძმები შემოწირულებას აგროვებენ, შეძლებისადაგვარად გვეწვევიან თვით დამწეული სოფლები, ბრძოლის ველზე მყოფი ჯარისკაცები, გვეწვევა დიდი და პატარა. ვიცით, რომ ამ შემწეობით ჩვენი დახოცილი მკვდრები არ გაცოცხლდებიან, ჩვენი ნამუსის შემბღალავი არ დაისჯება, დამწვარ-გაპარტახებული სახლკარ-ეზო-მიდამო არ აშენდება, ნალიები სიმინდით არ გაივსება, მაგრამ თითოეული კაპეიკი, ქრისტიან ქართველების მიერ ჩვენთვის გადაღებული, მილიონია, თითოეული მათი თანაგრძნობის სიტყვა ჩვენი მალამოა. გვწამს, რომ ეს თანაგრძნობა უფრო იმატებს, მეტათ შეგვაკავშირებს, და ვისაც ამდენ ხანს არ სწამდა, რომ ჩვენ, რაკი სხვა და სხვა სჯული გვაქვს, არ შეგვიძლია ძმები და მეგობრები ვიყოთ, დარწმუნდება, რომ ჩვენ ერთნი ვართ. ჩვენ ამდენხანსაც თქვენი ვიქნებოდით, უსწავლელობა გვიშლიდა ხელს. დღემდე დიდ ყურადღებას არც თქვენ გვაქცევდით. ამიტომ ქართული წერა-კითხვის მკოდნე ჩვენში არავინ იყო და, თუ იყო, იგიც ზაქარია ჭიჭინაძის, პეტრე უმიკაშვილის და თავადი ილია ქავჭავაძის მეოხებით... ახლა ქართულის წამკითხავი თითქმის ყველა სოფელშია, და დიდი სამადლო საქმე იქნება, თუ ნახმარ გაზეთებსა და წიგნებს გამოგვიგზავნიან“.

ჩვენ მოხარული ვართ, რომ ჩვენი წერილი დიდმა მატერიალური აჭარელი მიქელაძის სიტყვებით დაგვითარეთ. არ შეგვიძლია ჩვენი აღტაცება არ გამოვსთქვათ იმის გამო, რომ

უკვე ცის ტატნობზე აღმობრწვენდა ქართველ ქრისტიანთა და ქართველ მაცმადიანთა კულტურული, სულიერ ერთობის სხივოსანი ვარსკვლავი... ამ სინატრელს ერთობას, განმტკიცებულს დედა-ენის, ცოდნის და შეგნების მეხეობით, სჯულთა სხვადასხვაობა ხელს ვერ შეუშლის... შერიგ-ბეგის და მის მსგავსი მაცმადიანების გულთადაც ნატვრა უკვე აღსრულებას იწყებს, თუმცა ვა გვიან... საამისოდ საჭირო შეიქმნა ისეთი საზარელი ქარტახილი, რომელიც მსოფლიო ომის სახით თავს დაატყდა ქვეყანას. აჭარის გამოფხიზლება გამოიწვევს შავშეთ-ერუშეთის, ლივანის და სხვა იმ ქვეყანათა გამოფხიზლებას, რომელნიც ქართველი მაცმადიანებითაა დასახლებული... და ვინ იცის, ეგებ ამ ძველს შიდა ქართლს კვლავ დაუბრუნდეს თვისი წარსული დიდება, და კვლავ წარმოშობას მან შესანიშნავი ექვთიმე მთაწმინდელები, სულმნათი შოთა რუსთველები, იოანე მტბევეანნი და სხვანი... რადგანაც

„იქა ღვივოდა ძლიერი ცეცხლი ძველად ქართული ეროვნებისა, და აშუქებდა მთელ საქართველოს იქილამ სხივი მწიგნობრობისა“...

ი. ფ—რადე

რას გვეჩიით?

...„ჩვენც ხომ ხალხი ვართ... რას გვეჩიით!...“

მე ეს სიტყვები დღესაც ყურში ჩამჩურჩულებს.

ისინი ჩვენთან იყვნენ ციხეში. ექვსნი იყვნენ, მაგრამ ერთის ალაგსაც კი არ ვაძლევდით... სადღაც ნარს*) ქვეშ იყვნენ შემალულნი! ვახსენებდით მაშინ, როცა დაგვიკირდებოდა:

— ალიავ! იატაკი მოწმინდე?

— ისმაილ! ბოკა გარეთ გაიტანე?

— ფერდელავ, ფეხსაცმელი გაწმინდილია?—ასე ვამუშავებდით ჩვენ იმათ.

*) ნარი—საწოლი. პატარა ტახტი.



აჭარლები

— ყველაფერს ვიზამთ, ძიავ, ყველაფერს, ოღონდ თქვენ ერთი ომის ამბავი გაგვაგებთ; ნეტავი კიდევ დიდხანს იჩხუბებს გერმანია და რუსი?—მოუთმენლად გვეკითხებოდნენ ისინი.

— ბატონო! წამიკითხე ერთი, რა წერია გაზეთში—მეუბნებოდა ის ჩუმად, როცა გაზეთს შემამჩნევდა ხელში.

— კარგი, წაგიკითხავ, მაგრამ ერთ-ერთი აქ დადექით, უფროსმა არ მოგვისწროს.

მეც ვკითხულობდი—ისინი სმენად იყვნენ გადაქცეულნი.

— მართალი თქვი ალია! რუსმა რომ გემარჯვოს, ის გირჩევნია თუ თათარმა?—

— რათ მეკითხები, ძიავ, მაგას, რათ მინდა თათრის გამარჯობა, შიმშილით მომკლავს. მე აქაური ვარ, ცოლი აქ მყავს და შვილი.

— როგორ, ქრისტიანის ქალი გყავს ცოლი?

— დიახ ბატონო.

— მერე ვინ მოგცა თათარს ქრისტიანის ქალი?

— რატომ ვინ მომცა, მეც კაცი ვარ. შემწყვარდა... მასაც შეუყვარდი და ვცხოვრობთ ერთად.

— მერე ეხლა რომ რუსეთში გაგზავნიან?

— მეც ეს მაწუხებს და! ერთი არ მანახეს ჩემი ცოლი და შვილი...—ნადვლიანად სთქვა ალიამ და მძიმეთ ამოიოხრა.

II

— ბატონო, იქნება მოგვიხერხო რამე... მეც დანიშნული მყავს, არ მანახეს. უარს მეუბნებიან.

— შენ სადაური ხარ, უსუფ?

— სადაური ვიქნები, აჭარიდან ვარ. პატარა ვიყავი ძმას რომ მოგვეყვი გურიაში. მერე სულ იქ ვცხოვრობთ. სახლი მაქვს და კარი. მტერი მყავს და მოყვარე. მინდოდა ეხლა ცოლი შემერთო, ქალიც დაენიშნე. მარა თათრის ჩხუბმა დამღუპა. ძმაც კი არ მანახეს, არ შეიძლება ჯაშუშები ხართო... ეხლა მგონია შუაგულ რუსეთში გვაგზავნიან... ვინ იცის სათ დაგვხოცავენ... რას გვერჩიან, რა დაგვიშავენბია!..

კიდევ უნდოდა ალიას რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს საკანის სარკმელს ზედამხედველი მოადგა.

— ალია სირაძე, ისმაილ ბერიძე, მამედ მახმუდოვლი და ასე ქვევით გამოიძახა ყველა მაჰმადიანი ქართველები, შემდეგ კარებს ურდული გამოაძრო და ექვსივე უფროსთან წაიყვანა.

ხუთი წამის შემდეგ ყველანი შემობრუნდნენ, დაძმარებულნი. ალიას თვალებიდან ცრემლები სცვივოდა.

— რაშია, თათრებო საქმე, ხომ არ წმენდენ ციხეს... თუ მაკარიჩია თქვენზე? — დაცინვით შეეკითხა იმათ ერთი ტუსალთაგანი. იმათ ხმა არ გასცეს. იატაკზე დასხდნენ, თავი ჩაჰკიდეს.

— გაგზავნიან ალიავ?—შევეკითხე მე.

— დიახ, ბატონო, ხვალ გვაგზავნიან... ცრემლების ყლაპვით სთქვა მან და თითებს მტვრევა დაუწყო.

III

მეც იმ დღეს მომიხდა განთავისუფლება ციხიდან, რა დღესაც სამხედრო ტყვეები გაგზავნეს მახლობელ სადგურზე, იქიდან კი რუსეთს.

წვიმიანი დღე იყო. ალაყაფის კარებთან ახალგაზრდა ქალი იდგა ბავშვით ხელში. გამოვედი თუ არა, ცრემლებით საცხე ცის-

ქართველი



ჭაილარ-ბეგ აბაშიძე
მასწავლებელი და მწიგნობარი — ქართულ განათების თანამშრომელი.



ჭუსეინ-ბეგ ჯაში
აქარელი, მარადიდში გავლენიანი პირი.

მაჰმადიანები



მამედ-ბეგ აბაშიძე
ოსმალური ენიდან ქართულად პიესების მთარგმნელი და ცნობილი პირი.

ქრისტიან და მა.მადიან ქართველთა ერთობის მქადაგებელნი

ჭაილარ-ბეგ აბაშიძეს

(ავტორმა წაუკითხა ქუთაისში ნიკ. ასათიანის მიერ გამართულ სალიტერატურო საღამოზე)

გაიგე, რომ ხარ სულით ქართველი, იცან სამშობლო შენი ქვეყანა.
 მოწყვეტილ ყვაილს ძუძუ გაწოვა, გზარდა, გალაღა და გეაკვანა...
 სულის სიღრმეში ჩაგწვდა ბრძოლის ხმად დედის ტკბილ რძესთან, დედის ნანინა.
 იმედის სხივად იქცა სიკაცხლე, კრემლად დაწვევზე რომ დაგადინა.
 მტეჟარ ხმით უხმობ: შეკრბენ მოძმენი .. ხედავ მთის არწივს დაქრილს, დაკოდელს.
 უძლოურად მდებარს ცრემლის კუბოში, ფრთებ დაგლეჯილსა და სულამოხდილს...
 — იცან სამშობლო, შენი ქვეყანა, ლეჩაქ მოხდილი საქართველოა.
 თვით ქართველი ხარ და ეგ კერპიც ხომ მაგ შენი სულის საშლოცველოა.
 მაშ, გაუწოდე ხელი, კაბუკო, მოძმე ქართველებს, მხნედ იმამაცე;
 ბრძოლის ხმებს გაჰყევე, იბრძოლე მედგრად, თუნდა მაგ ბრძოლით მკვდარი დაეცე,
 სისხლის ცრემლები გადინონ თვალებზე, მაინც განვლე ეს ცხოვრების ველი,
 კუბოს ფიცრამდი მეხად გრგვინავდე, რომ ქართველი ხარ, სულით ქართველი...

ლადო მაჭავარიანი

ფერი თვალები შემომანათა.

— მითხარით, ღვთისგულისათვის, სამხედრო ტყვეებს ხომ დღეს გზავნიან?

— დიახ, დღეს. მერე თქვენ ვის უცდიო?

— ქმარს.— მომიგო მორცხვად, ცოტა სიჩუმის შემდეგ და თვალებიდან ცრემლები წასქდა. დედის მკერდზე მიყრდნობილი ბავშვი-კი მშობლის ტირილზე იღიმებოდა.

ღარაჯები მოვიდნენ. ალაყაფის კარები კვლავ გაიღო.

— აქ დგომა არ შეიძლება, ეხლავე ტყვეები უნდა გამოიყვანონ! მოშორდით კარებს.— უცყრა ქალს ზედამხედველმა.

— ღვთის გულისათვის მაჩვენეთ ქმარი.

— შეევედრა ის ზედამხედველს.

— „აჩვენეთ ქმარი“—თათრის ცოლია!., არც კი რცხვენია!., ფუი შენს ნა-

მუსს!..— წამოაფურთხა ზედამხედველმა და კარი ჩაკეტა.

— რა უნდა გითხრა შეუგნებელს და მართლა საზიზღარს?— იყო პასუხი ქალისა. კარებს მოშორდა.

— მომეცით ბავშვი, მე დაგიქერთ.— უთხარი მე.

— გმადლობთ, ბატონო. ქალს არ ჯეროდა.

გამოიყვანეს.

— საშოკო, შენა! არ მოგელოდი, მომეცი ბიჭი, ერთი ჩავკოცნო უკანასკნელად. — შესძახა გახარებულმა ალიამ ცოლს და ორივე ხელები გაუწოდა გამოსართმევად, მაგრამ, საყვარელი ბავშვის მაგიერ, მის გაწვდილ ხელებს, ხმლის ყუა მოხვდა..

— არ შეიძლება, გესმით თუ არა!..

— ჩვენც ხომ ხალხი ვართ... რას გვერჩით?!. სირცხვილი თქვენი — უსაყვედურა

ალიამ დარაჯს. მერე კი ისევ ცოლს მიუბრუნდა;

— ყოჩაღად იყავ... შენ იცი... ბიჭი... სთქვა და გასწია.

— ყოჩაღად იყავ... შეიღოს გამოგიზრდი... სირცხვილს არ გაქმევ... გფარავდეს ღმერთი...— სტიროდა საშა, ბიჭი კი ილიმოდა დედის მკერდზე ..



ამას წინად ინტერნაციონალურ დილას დავესწარ. სცენაზე ვნახე: რუსი, ქართველი, სომეხი, ოსი; მაჰმადიანი თათრებიც იყვნენ, და მე სცენაზე იმათ დანახვამ ციხის სურათი მომაგონა და ალიას ხმა ყურში ჩამწვდა:

„ჩვენც ხომ ხალხი ვართ, რას გვერჩით, რას?“.

ს. რემონიძე



როდის გავიგე მე, რომ ქართველი ვარ?

პირველად მამაჩემმა ბათომის ქართულ სასწავლებელში მიმაბარა. ეს იყო დაახლოვებით 1900 წლებში სასწავლებელში შესვლისას ერთმა კაცმა მომიკიდა ხელი, პირველად შემეყვანა კლასში და დამსვა სკამზე. მე გაკვირებული და შეშინებული ვიცქირებოდი ირგვლივ, მოუთმენლად ველოდი „ხოჯას“ შემოსვლას. კლასში დავინახე რამდენიმე ბავშვი წითელ ფესკებში. მათი დანახვა გამეხარდა და ვიფიქრე: „აწი რა მიქირს, გარდა ქართველებისა — გიაურებისა, აქ ჩვენი „თათრებიც“ ყოფილანთქო“. ბევრი დრო არ გასულა, მომესმა რაღაც რეკვა. მოწაფეები ამ ხმის გაგონებაზე ფეხზე წამოდგნენ. მეც ავყევი იმათ და გავვდიოთ სკოლის ეზოში, სადაც კიდევ სხვა წითელ ფესკიანებიც დავინახე. მათ შორის ნაცნობებიც აღმოჩნდნენ. ნაცნობების დანახვამ ჩემი სიხარული გააორკეცა. წითელ ფესკიან ნაცნობებს შევეკითხე: — „რას აკეთებთ, რისთვის მოსულხართ აქ?“ მათ მიპასუხეს: „ჩვენ აქ ვსწავლობთო.— თქვენ კი სწავლობთ, მაგრამ, ერთი მითხარით, ჩვენთან

როდის შემოვა ხოჯა“? შევეკითხე. მიმითითეს იმ კაცზე, რომელმაც მე პირველად შემიყვანა კლასში და მითხრეს: „აი ეს არის თქვენი ხოჯა, რომელსაც ქართულად მასწავლებელის ეძახიან და ჩვენებურად კი, ესე იგი თურქულად ხოჯასა“. დარეკეს. შევედი კლასში. ჩამოვარდა სიწყნარე; მასწავლებელმა აიღო ხელში წიგნი, მიათითა ხელი ერთ ფესკიან მოწაფეს და უთხრა:

— „თათრახან, გამოდი დაფასთანო“.

დროთა ვითარების მიმდინარეობაში, სკოლაში ყოფნისას ვაკვირდებოდი და ყოველ დღე ვამჩნევდი, ჩვენი მასწავლებელი საზოგადოთ ფესკიან მოწაფეებს „თათრახანს“ ეძახდა, ქართველი მოწაფეები-კი „თათრებს“. ეს სახელწოდება, ფესკიანებს სრულიად არ ეუცხობოდათ, პირიქით სიამოვნებასაც გვრიდა.

ერთ დღეს, გაკვეთილზე ჩვენი მასწავლებელი უნებლიეთ გავაჯავრე, რისთვისაც გაჯავრებული კილოთი მითხრა:

— „თათრახან! ნუ ეშმაკობ.“

სკოლიდან დაბრუნებისას მამას ვუთხრებ:



— „მამა! ჩვენ, თათრებს, მასწავლებელი „თათრახანს“ გვეძახის.

მამისგან შემდეგი პასუხი მივიღე.

— „თათარი“ კი, მაგრამ ეს „ხანი“ რა არის, მართალი გითხრა, შვილო, არ ვიცი.

— შვილო, თქვენ თათრებს, მასწავლებელი გეფერებათ და „ხანი“ ხართო, გეუბნებათ დაუმატა დედამ.

— მოფერება კი არა, ისე გაჯავრებული მითხრა, რომ შიშმა ამიტაცათქო, მიუგე მე.

მეოთხე წელზე პირველდაწყებითი სასწავლებელში მივატოვე და გადავედ ბათომის საქალაქო სასწავ. აქ სხვა სურათი გადამეშალა. დაახლოვებით ვავეცანი რუს და ქართველ მოწაფეებს. რუსი მასწავლებლები და მოწაფეები ჩვენ მაჰმადიანებს გვეძახდნენ „ტუროკ“ ქართველი-კი „თათრებს“. გვეგონა „თურქი“ რუსული სახელწოდება იყო „თათრის“. აი სწორედ ამიტომ არ გვეუცხოვებოდა რუსები ჩვენ, თათრებს „თურქებს“ რომ გვეძახდნენ. საქალაქო სასწავლებელში მხოლოდ ერთი წელიწადი დავრჩი. შემდეგ მამაჩემმა, 1905 წელს, გამგზავნა საზღვარ-გარედ, ოსმალური ენის შესასწავლად. ჩემ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ოსმალეთში „გურჯი მიწოდეს“. ჩავფიქრდი: „ეს რა ამბავია: ხან „თათარი“ ვარ, ხან „თათრახანი“, ხან „თურქი“ და ხან-კი „გურჯი“.

გულახდილად უნდა ვსთქვა, რომ ჩემთვის სულერთი იყო, რასაც მიწოდებდნენ, მხოლოდ „ქართველის“ სახელწოდება ძალზე მეჯავრებოდა. ოსმალეთიდან დავბრუნდი 1908 წელს, ისევ შევედი ბათომის საქალაქო სასწავლებელში, რომელშიაც კურსი 1912 წელს დავამთავრე.

რუსულ-თურქულ წიგნებში აღტაცებით ვკითხულობდი სამშობლოს შესახებ ლექსებს და მოთხრობებს: მაშინ წარმოდგენაც არ მქონია, თუ მეც მქონდა სამშობლო და დედენა. მე ამ დროს ვტყებოდი უცხო ლიტერატურის კითხვით. საქალაქო სასწავლებლის დასრულებისას დაახლოვებით ვავიცანი ერთი ახალგაზრდა ქართველი-ქრისტიანი, ბ-ნი

ესე კეკაყმაძე. ჩვენ ხშირად ერთად ვიყავით. ერთ დღეს ამ ჩემმა კარგმა ნაცნობმა ბ-მა კეკაყმაძემ მითხრა:

— „წამოდი ქართულ თეატრში, „ლა-ლატს“ თამაშობენ, საუცხოვო ისტორიული პიესააო“

ეს იყო დაახლოვებით 1912 წლის მიწურულში.

მე უთხარი:

— „თქვენ თეატრში რა მინდა, ამაღამ თურქული წარმოდგენაა და იქ წავალთქო. ბი კეკაყმაძე ბევრს მეხვეწა, როგორც იქმნა დამითანხმა, და წავედით. წარმოდგენა „ლალატმა“ ძალზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ქართველ-მეგობარს, რომლის რჩევით წარმოდგენაზე წავედი, წარმოდგენის დამთავრებისას გაჯავრებული მივმართე:

— „ეს იყო თქვენი კარგი წარმოდგენა, რომ რვა საათიდან დაწყებული თორმეტ საათამდის ჩვენ, თათრებს“, უგინებელი არაფერი დავგიტოვეთქო?!

ბ-მა ესე კეკაყმაძემ ღიმილით მიპასუხა:

— „ვინ იყვნენ ისინი, რომ იტანჯებოდნენ?“

— „თქვენ — ქართველები;— მიუგე.

— „მტანჯველები?“

— „ჩვენ — თათრები“, უპასუხე და შემდეგი დაუმატე გაჯავრებულმა: „რა გიშავთ!! შურიც კარგად იძიეთ, საკმაოდ გვათრით და კარგათაც გვაგინეთქო“.

მან ღიმილს მოუმატა და შეუდგა საქმის ვითარების ახსნას. მე მის ახსნა-განმარტებას ყურადღებას არ ვაქცევდი და ან როგორ შემეძლო მიმექცია ყურადღება, როდესაც ბავშვობიდანვე, საზოგადოებაში და სასწავლებელში ჩამძახოდნენ: „გათათრებული“, „თათრახანი“, „თათარი“, „თურქი“ ვინ იცის კიდევ რა? ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა შემატყო, რომ ის ჩემთან ვერას გახდებოდა და გამშორდა. მეორე დღეს დილით მოვიდა ჩემთან და მომიტანა ქართული წიგნები, სხვათა შორის, ჩვენი დაუღალავი მუშაკი ბ-ნ ზ. კიკინაძის ნაწარმოებიც და მითხრა:

— „მოდ, დავჯღეთ და ამ წიგნებს გადავხელოთ. მეც დავთანხმე და დავიწყეთ

კითხვა. წასვლისას-კი დამიტოვა ის წიგნები. რამდენიმე დღის შემდეგ დაეუწყე ძებნა ჩემს ძვირფას მეგობარს, ვინახულე და ვუთხარი:

— „მიუხარი როდის ითამაშებენ ჩვენს ქართულ თეატრში „ლალატს“, უსათუოდ კიდევ უნდა წავიდე. მაშინ მან ტკბილად გაიცინა და მითხრა:

— „მოდო კკუაზე?„

მე ამაზე უპასუხე:

— „ეს არა კმარა! საჭიროა სხვებიც მოვიდნენ კკუაზე, და მასთან ერთად შეიგნონ და შეეგნებინონ გზაკვალაბნეულ-დაბეჩავებულ ქართველ-მაჰმადიანებს, რომ ისინი არიან ქართველები, მათი დედაენაა ქართული ენა და სამშობლო-კი კობტა საქართველო. —

ამასთანავე არ შემიძლიან არ მოვიხსენ-

ნოის გარემოებაც, რომ ჩემსა და სხვა ქართველ-მაჰმადიანების გამოფხიზლებას ხელი შეუწყო მრავალ დასაბუთებულ წერილთა მეოხებითა „ბათუმის გაზეთმა“, რომელიც ა. ქელიძის რედაქტორობით გამოდიოდა და რომლის თანამშრომელიც გახლდით. ამავე დროს დაარსდა სამუდამო ქართული დრამატული დასი ქართულ წარმოდგენათა საწარმოებლად ბათომში როგორც ქართულმა გაზეთმა, ისე ქართულმა თეატრმა დიდად ხელი შეუწყო ქართველ მაჰმადიანებს შოკის ქართული ენის და ქართულ შეგნების გავრცელებას. ამასთანავე მე დაუახლოვედი 1912 წლის შემდეგ ბათუმის საშუალო სასწავლებელში მოსწავლე რამდენიმე ქართველ ახალგაზრდას, რომლებთან კავშირმა გულში საქართველოს სიყვარული უფრო მეტად გამიღვივა.

ჭაიღარ-ბეგ აბაშიძე

ცოტა რამ ჩვენი თანამოძმე — ჭანების შესახებ

დღეს ამ უმაგალითო ომიანობის გამო ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ იმ პატარა ეროვნებათა და ტომთა შესახებ, რომლებიც ისტორიული ჩარხის უკუღმა ტრიალმა ძალად დაანაწილა, დააქუცმაცა და სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებში მოუყარა თავი. ეს ნაწილები დღეს ბუნებრივად ერთმანეთისაკენ მიილტვიან, რომ კვლავ შეერთდნენ, შექმნან ერთი ეროვნული სხეული და მტკიცე საფუძველი დაუდვან თავისი ერის თავისუფალ განვითარებას.

ამ საერთო მოძრაობიდან და მუშაობიდან მხოლოდ საქართველო და მისი ისტორიული ნაწილები არიან გამორიცხული. გარეშენი ჩვენზე ხმას არ იღებენ, და არცა ვართ ამას ჩვეულნი, მაგრამ ჩვენც დავდუმებულვართ და კეთებით ხომ სულ არაფერს ვაკეთებთ. ვითომც საქართველოს არა ჰყავდეს დაკარგული შვილები, ვითომც მისი სხეული მთლად შეერთებული იყოს და წყლული მისი დაამებული. თუ აქარლების შესახებ ვლაპარაკობთ მაინც, თუ კეთებით არაფერს ვაკეთებთ, ჭანებზე ანუ ლაზებზე, ამ ჩვენ ერთ უნიკიერეს თანამოძმეებზე, სრუ-

ლებით აღარა ვფიქრობთ. კარგა ხანია ისინი მივივიწყეთ და მათსას აღარც კარგსა და ღარც ავს არაფერსა ვკითხულობთ.

დღევანდელმა ომმა თვისი სიმწვავე და სისასტიკე ჭანებსაც აგებმა, თუ მეტად არა, არა ნაკლებ ვინემ სხვებს. მთელი ჭანეთი ანუ ლაზისტანი ომის ასპარეზად იქმნა გარდაქცეული. ჭანეთი, როგორც მოგვხსენებთ, ორ არათანასწორ ნაწილადაა განკვეთილი. უმცირესი ნაწილი რუსეთის სახელწიფო საზღვრებშია მოქცეული, სახელდობრ ბათუმს ოლქში (კორჩხის მარცხენა შესართავის ჩხალა-წყლის ხეობაში რვა სოფლად, ჩხალელები და ზღვის ნაპირას გონიას ნაწილში), უმეტესი ნაწილი კი მოქცეულია ოსმალეთის იმპერიაში, სახელდობრ ტრაპიზონის ვილაიეთში (რიზეს სანჯაყის ანუ მაზრის ორი კაზა ანუ საბოქაულო). თუ რა დღე დაადგათ ბათუმის ოლქის მცხოვრებლებს, მაშასადამე ჭანებსაც, ყველას კარგად მოეხსენება. უკეთესი დღე არც ოსმალეთის ჭანებს დაჰყარიათ. გაზეთებში ხშირად იყო დასახელებული ჭანეთის ქალაქები აღმოსავლეთიდან მოყოლე-

ზული დასავლეთამდის: ხოფე, არქაბი, ვიწე¹⁾ და ათინა, სადაც ომის ალი ტრიალე-ბდა.

ნუ თუ ამდენი მსხვერპლი, ამდენი სისხ-ლი ქანებისა უნაყოფოდ უნდა დაიკარგოს? ნუ თუ მათ არ ექირვებათ ნუგეში და დახ-მარება, რომ კვლავ იცნონ თავისი თავი, კვლავ შეიგნონ თავისი ეროვნება და აღორ-ძინების გზას დაადგენ? არც ერთი ისტო-რიული ეროვნება გინდ ტომი, რომელთაც დღემდის მოუღწევიათ, არ იმყოფება ისეთ საშუაშე მდგომარეობაში გადაგვარების მხრივ, როგორშიაც დღეს ქანები არიან. მეოცე სა-უკუნეში ისეთი ტომებიც კი, რომელთაც ისტორიული წარსული არა აქვთ, არ მიუძ-ღვისთ არავითარი დეაწლი კაცობრიობის წი-ნაზე, წელში იმართებიან, თავის ეროვნულ სულს ამტკიცებენ და ქანები კი, ლითონის დამუშავების პარენერები და ამ დარგში კა-ცობრიობის მოძღვარნი, სწორედ ამ დროს გადაგვარების მოლიბულ გზაზედ მსწრაფლად მიექანებიან უფსკრულისაკენ. გული გიკვდებ-ათ, როდესაც კითხულობთ ნ. მარრის ზემო-დასახელებულ მოგზაურობას ქანეთში. ყოვე-ლივე ეროვნული ძირიან-ფესვიანად ითხრება, ივიწყებენ თვით ენას. მამაკაცები თაკილო-ბენ კიდევ დედანაზე ლაპარაკს; იმათ ოსმა-ლური უფრო ეხერხებათ და მოსწონთ, ქა-ნური ენა კი „დაცთა“ ენად მიაჩნიათ. ქა-ნეთში ნ. მარრმა მხოლოდ ლექსები ჩასწერა, ვერ ნახა ისეთი ქანი, რომ ქანურად რაიმე ზღაპარი ეთქვა, და აკადემიკოსს ექვი შეეზა-რა, ვაი თუ ქანებს აღარც კი შესწევდეთ ძალა დედანაზე ზღაპრის თქმისაო. ჩვენდა სასიამოვნოდ ეს ექვი მარრალი არ გამოდგა: მე პირადად შემთხვევა მომეცა მურღულის

ხეობაში (ბათუმის ოლქი) ჩამეწერა სამი ზღაპარი²⁾ იქ ქარხანაში მომუშავე ლაზებისა-გან; ზოგი მათგანი ბათუმის ოლქში მცხოვ-რები იყო, ზოგიც ოსმალეთიდან სამუშაოდ გადმოსული. ეს ზღაპრები მე ქართულადაც ვსთარგმნე და მკითხველ საზოგადოებას ვაე-ცანი³⁾. ცხადი კია, რომ ქანური ენამართლაც ქალებმა უკეთ იციან, ვინემ მამაკაცებმა. ქა-ნეთში ჩვეულებათ აქვთ ფერხული სიმღე-რა („ობირუ“), რომელსაც ვაეები და ქა-ლები ცალ-ცალკე მართავენ. რადგან ქანური ქალებს უფრო ეხერხებათ და უკეთეს ლექ-სებს ამბობენ, ვაეები ფარულად მიუახლოვ-დებიან და უყურებენ, რომ ლექსები დაიხსო-მონ. სამწუხაროდ ბოლო დროს ამ მხრივაც საფრთხე მოეღის ქანურ ენას. ოსმალეთის ქანეთში, როგორც ნ. მარრისათვის უამბნიათ, 800-ზე მეტი რუსი ქალი ყოფილა! ქანები რუსეთში დიდი ხნობით რჩებიან როგორც ხელოსნები და გარდა ამისა ხშირი მიმოსვლა აქვთ როგორც ვაქრებს სამშობლოში დაბ-რუნებისას თან მიჰყავთ ცოლებად რუსი ქა-ლები, რომლებსაც რა თქმა უნდა ქანური არ ეცოდინებათ. ენის დავიწყებისთან ერთად ქანებს თანდათან ავიწყდებათ თავისი წარსუ-ლი. ავიწყდებათ არა მარტო ის ფაქტი, რომ მე-VI საუკუნედან მოყოლებული მე-XVI-ლის ქრისტიანები იყვნენ, ისიც კი ავიწყდებათ, რომ ისინი თავის თანამოძმეებ ავით,—მეგ-რელებისა, სვანებისა და ქართველებსავით,— ძველი ხალხია და უკანასკნელებთან ერთად თავისი წვლილი შეჰქონდათ ქართულ ეროვ-ნულ-კულტურულ საუნჯეში.

ამ თანამოძმე ტომებში ქანები ყველაზე უფრო მეგრელებს უახლოვდებიან, მათი ენა ლინგვისტურად ერთი ენაა და, თუ დღეს ორი სხვადასხვა ენის სახით არსებობს, ეს აიხსნება მით, რომ მეგრული მყოფებოდა და იმყო-ფება ქართულის გავლენის ქვეშ, ქანური კი ჯერ ბეჭნულისა და შემდეგ ოსმალურის გავლენის ქვეშ. ძველად ქანეთი (კოლხიდა,

1) არ შემოძლია არ აღვინიშნო ის სამწუხარო მოვლენა, რომ ქართულ გაზეთებში ქანური გეოგრა-ფიული სახელები დამახინჯებულადაა მოყვანილი რუსულ ენის გავლენით. მაგ. ვიცე „ვიწეს“ მაგირად. ეს მოვლენა მით უფრო აწუხარა, რომ არსებობს შევნიერი გამოკვლევა აკად. ნ. მარრისა ქანური ენი-სა და ქანების შესახებ (Грамматика Чанскаго (Лазс-каго) языка съ хрестоматією и словаремъ да Изъ поѣздки въ Турецкій Лазистанъ, სადაც ყოვე-ლივე სისწორითაა აღნიშნული.

2) იხ. ჩემი „Дополнительныя свѣдѣнія о Чанскомъ языкѣ“.
3) იხ. „ნაკადული“ (მოზრდილთათვის) 1911, №№ 8—10.

ლაზიკა) და სამეგრელო ხშირად ერთ სახელმწიფოს შეადგენდნენ, ასე რომ „კოლხიდაში“ მთელი დღევანდელი სამეგრელო და იმერეთის ნაწილიც (შორაპნამდის) შედიოდა და პირიქით „სამეგრელო“ კოლხიდასაც შეიცავდა და ტრაპიზონამდის გრძელდებოდა. დღევანდელი ალმაშენბლისა და თამარ-მეფის დროს კი ყველა თანამოძმე ტომები გაერთიანებული იყვნენ. მაშ რა მოხდა, რო დღეს ჩვენსა და ქანებს შორის თითქოს საერთო აღარა არის რა? რამ მოსწყვიტა ისინი საერთო კულტურულ ძეგლს? ორმა გარემოებამ: ერთი რომ ქანების უმეტესობა მე-XVI სსუკ. სხვა სახელმწიფოში სცხოვრობს და მეორე ის რომ სხვა რჯულს აღიარებს, უმეტესად კი ამ უკანასკნელმა, რჯულმა სრულიად დაიწყო ეროვნება და ეროვნული თვითშეგნება გაანდგურა, ეროვნება მსხვერპლად შეეწირა რჯულს, ეროვნება და სარწმუნოება ერთმანეთში აირია. ამ-ტომმა რომ მაჰმადიანი ქართველები საზოგადოდ და კერძოდ ქანები ჩვენ „თათრებად“ გამოვაცხადეთ და იმათაც „ქართველობაზე“ ხელი აიღეს, რადგან „მაჰმადიანი“ ჩვენის ყალბის შეხედულებით „თათარს“ ნიშნავდა, მაჰმადიანებისათვის კი „ქართველი“ (გურჯი) „ქრისტიანსა“ ნიშნავდა. ეს საშვალაო საუკუნოების აჩრდილი დღესაც არ გამქრალა და ორივე მხარეს სულს გვიხუთავს. დროა თავი დაეღწიოთ ამ საშინელებას. დროა ჩვენც-ქრისტიანმა ქართველებმა და მათაც—მაჰმადიანმა ქართველებმა და კერძოდ ქანებმა მივსცეთ **სარწმუნოებისა სარწმუნოებასა და ეროვნებისა ეროვნებასა** დროა შევიგნოთ, რომ ქართველი, ქრისტიანია ის თუ მაჰმადიანი, **თავდაპირველად** ქართველია და მერმე ქრისტიანი, მაჰმადიანი ან სხვა რამე სარწმუნოების; სარწმუნოება სინილისის საქმეა. დეე, ვის როგორც უნდა, ისე აღიღოს შემოკმედი. მაგრამ რა სარწმუნოებისაც არ უნდა ვიყოთ და რომელ სახელმწიფოშიაც არ უნდა ვსცხოვრობდეთ, თითოეული ჩვენგანი ვალდებულია, თუ კი მას თავი **აღამადიანად** მიაჩნია და თავმოყვარეობა აქვს, დაიცვას თავისი ეროვნული ჰიროვნება, გაითვალისწინოს თავისი წარსული, აწმყო და შეერთებულის ძალით გაიკაფოს გზა უკეთესი მომავლისაკენ.

დიდი მუშაობაა საქირო ორივე მხრიდან, რომ ჩვენ, დღეს გათიშული ძმები, კვლავ ერთმანეთს დაუბრუნდეთ. მეტი მუშაობა კი ქრისტიან ქართველებს გვევალება, რადგან ჩვენ შედარებით უკეთეს პირობებში ვართ. ჯერ ჩვენ უნდა გავუწოდოთ ჩვენ ძმებს ნუგეშისა და დახმარების ხელი და იმედით უნდა ვიქონიოთ, რომ მათი გული ამას იგრძნობს, რომ ეროვნული ცეცხლი, მათ გულში დღეს ჩაფერფლილი, კვლავ აღტყინდება და ეროვნული თვითშეგნების დამაბრკოლებელ მიზეზებს მოსპობს. **ი. უიფშიძე**

ვინ სწმირა ქართველ მაჰმადიანთა შესახებ?

ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა— პირველად რამდენიმე სიტყვით მოიხსენია თურქთაგან ზურაბილი ქართველები და მათი გაცქმაცქმადიანების ცნობები სხვა და სხვა ნაწერებში.

ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ— ბრჯერ იმგზავრა ქართველ მაცქმადიანებში. პირველი ამისი წიგნი იყო რუსულს ენაზე დაბეჭდილი პეტროგრადს სამეცნიერო აკადემიისგან, „რჩქე-ოლოგიური მოგზაურობა გურაასა და აჭარაში“, რომელიც ისტორიკოსმა აკად. მარი ბროსეს უძღვნა. პირველად იმოგზაურა იმ დროს, როცა სსუკ-ნებუელი კუთხე ისევ დ. ზ. ბაქრაძე ოსმალთ ეჭურათ, მეორედ 1879 წ. თავის „მოგზაურობა“ თბილისში წაიკითხა.



გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგმა— მთავრობის მანდობილობით იმოგზავრა იმ დროს, როცა სსუკ-ნებუელი კუთხე ისევ ოსმალთ ეჭურათ. მან დასწერა თავისი მოგზაურობა, სასხელდობრ: „საში თვე ოსმალეთის საქართველოში“, რომელი წიგნიც დღესაც სსუკ-ნებუელთა წიგნად ითვლება. მეორე ამისი შრომა ვრცელი სამხედრო მიმოხილვა „დასისტიანის სსუკ-ნებუი“. მეტად იშვიათად დღეს ეს წიგნი.

გიორგი ყაზბეგის მოგზაურობას მეტად საინტერესო ისტორია აქვს, თვით ქართველ მაცქმადიანების ბეგრს ამბებს მოგვითხრობენ. გ. ყაზბეგი პირველად გურიის მთავარისძის გრიგოლ გურიელის ამაღაში იყო, როგორც მსახური. უფველ ცნობებს თურმე საიდუმლოდ სწერდა.



ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძემ

დასწერა თვისი მოგზაურობა საქართველოდამ ევროპაში სანქტდობრ „სხვათა შორისა, რომელიც მათავსებულა 1873 წ. ჟურნ. „კრებულში“. ერთ თავში ბ. ნ. ნიკოლაძე ოსმალეთის საქართველოს და ქართველ მაცხოვრებლებს აღვიწერს დაზისტანითურთ.



პეტრე იოსების ძე უმიკაშვილმა

გადმოიღო გ. ეზბუგის წერილები, რაც კიბუკ-დებოდა 1878 წ. გაზ. „ივერია“-ში.



სერგი სვიმონის ძე მესხს დიდი შრომა და ამაგი მიუძღვის. 1877 წელ ბიძამ, ომიანობის დროს, ქართველ მაცხოვრებლებში ორჯერ იმოგზაურა და მათზე ბევრიც სწერა.

ივანე მეუნარგიამ სამისიონერო საზ. — ის დავალებით იმოგზაურა სამუსულმანო საქართველოში. თვისი მოგზაურობა გადასცა სამისიონერო საზოგადოებას.

ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძემ — სწერდა გაზეთ „ივერია“-ში ქართველ მაცხოვრებლებს შესახებ და ამტკიცებდა, რომ იგიინი ჩვენი ძმებია არიან და საქორთა დავეხმარეთ.



გ. წერეთელი — გაზ. „ივერია“-ში.

გ. გუნია — დიდათ ხელს უწყობდა მათ დახლოებას.

აკაკი — დიდ უურადლებას აქტევიდა ქართველ მაცხოვრებლებს და როცა კრებულშია — გამოცემა დაიწყო, ამ უურადში მათ შესახებ ათავსებდა სხვა და სხვა წერილებს. ბოლოს ქაბულეთიდან დაბრუნდა ეწვია აკაკის, სთხოვეს მოგზაურობა მთელ სამუსულმანო საქართველოში, პოეტო ფიქრობდა კადეტ მოგზაურობას, მაგრამ ეს აღარ დასცადა.



თედო სახოკიამ იმოგზაურა გურია-ჯარში, აღწერა და ჟურნ. „მოამბე“-ში მოათავსა.

ვინმე მესხმა (ივანე გვაჩაძემ) — სწერა სხვა და სხვა თავის წიგნებში.

ნიკ. ცხველიძემ გულმხურვალედ აღევნებდა თავაუურს ქართ. მაცხოვრებლებს სწავ. განათლების საქმეს ამის მეტადინებით 1880 წ. მუხრან-ბატონმა ორი სტიპენდია გაუზინა გულადა კაიკაციშვილის შვილს ისმაილს და დედი აღა ნიკარაძეს შვილს რეჟბას.

იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი — ხშირად სწერდა ქართველ მაცხოვრებლებს შესახებ სხვა და სხვა ქართულ გაზეთებში.

ნიკოლოზ ნარმა, აკადემიკოსმა, — იმოგზაურა მთელს ოსმალეთის საქართველოში, შეკრიბა სხვა და სხვა ცნობები, აღწერა თვისი მოგზაურობა, რაც ცალკეა დაბეჭდილი და საუურადდებო განძია ჩვენს მწერლობაში ქართველ მაცხოვრებლებს შესახებ.

ალექსანდრე თევდორეს ძე ეიფშიძე მესხეთ-ჯავახეთში მსახურებდა მომრიგებელ-შემავლად (1899—1904 წ.). იქ მსახურობის დროს გაეცნო ქართველ მაცხოვრებლებს და მალე მათ შესახებ ქართულ გაზეთებში კარგი წერილები მოათავსა. უკანსკნელ დროს ცალკე წიგნად გამოვიდა (1914 წ.) მისივე წიგნი „დიდებული მესხეთია, რითაც დაშვირი დიდს საუურადდებო ცნობებს იძლევა ხსენებულ ხალხისას.



ილია ფერაძე — სწერს სხვა და სხვა წერილებს, ერთი ამის მოთხრობა უელენეა, ქართველ მაცხოვრებლებს ცნობებიდან ცალკე წიგნად დაბეჭდა 1901 წ. მანვე დასწერა პოემა: „მე და ქართველი მაცხოვრებლები“ („კანათლები“ № 4, 1915 წ.)

ს. ფირცხალავა ხშირად სწერდა და სწერს კადეტ წერილების ქართველ მაცხოვრებლებს შესახებ. ახლახან ლექციების კითხვა დაიწყო „სამაცხოვრებლო საქართველოზე“. ქართველ მაცხოვრებლებს განათლებას სწერდენ:

გულო ალა კაიკაციშვილი — ჯერ ბათომი ოსმალეთის ხელში იყო, რომ 1875 წ. გაზ. „დროება“-ში ბეჭდავდა წერილებს.

აბდულ ეფენდი მიქელაძე — ოსმალის მთავრობის დროსვე დიდი გულშემატკივარი და

მტოდნე იყო ქართულ წერა-კითხვის, შვედეთის დიდიან იგი ზატარ-ზატარა წერილებს სწერდა გაზ. „დროება“-ში და მის მერე „ოფერია“-ში. ბევრს მესმარებდა წიგნების გაზრტყლების საქმეში.



მემედ ბეგ აბაშიძე — განათლებული ქართველი მაცმადიანი, ზირველ დაწეობითი სწავლაბათმის ქართველების სკოლაში მიიღო. სხვათა შორის სთარგმნას მსმალეთის ენიდან ზიეს „სამშობლო“ (დაბეჭდა

„მოამბეა“-ში). ნათარგმნი აქვს სხვა ზიესებიც.

ზაიდარ ბეგ აბაშიძე — განათლებული ქართველი მაცმადიანი, ზირველ დაწეობითი სწავლაბათმის ქართულ გასეთეში მწერლობს. მასწავლებელია. არიან სხვა ქართ. მაცმადიანი მწერლებიც. ქართველ მაცმადიანთ ქვეუნიებში უცხო ქვეუნიის და ტომის სწავლულებიც მოგზაურობდნენ და აღწერდნენ მათ ქვეუნიებს. ასეთნი არიან დიუბო დე-მომზრე, სენ მარტენი, რეკლიუ, ლიფსენი და სხვანი.

ელუარდ კარლოს ძე ლიოზენი, შვეიცარიელი სწავლული, თბილისის კლასიკურ



გიმნაზიის ფრანგულ ენის მასწავლებელი. რამდენჯერმე იმოგზაურა ოსმალეთის საქართველოში, აღწერა იგი დაწერილებით, გადაიღო მრავლად სხვა და სხვა სურათები და მათი მდიდარი კოლექცია შეადგინა. ცალკე წიგნად

დასტამა მესხეთის დაზიტანის აღწერა, რაც ზირველ სამაგალითო საქმედ უნდა ჩაითვალოს ჩვენს მწერლობაში. ლიოზენს ქართველ მაცმადიანთ შესახებ ბევრი რამ ნაწერები აქვს დასაბეჭდად მომზადებული.

რუსთაგან იმოგზაურეს გრაფმა უვარდოვმა, მერე მისმა მეუღლემ, ზაგორსკიმ, ვეიდენბაუმიმ და სხ. უველა ესენი ქართველ მაცმადიანებს ქართველებად მოიხსენიებდნენ.

მე მოგზაურაბა დაწევე 1889 წ. და წერილებს ვათ ვსებდი გასეთებში.

ქართველ მაცმადიანთ შესახებ მე დაბეჭდე:

- 1) მოკლე ისტორია ოსმალეთის უოფილი საქართველოსი,
- 2) ქართველ მაცმადიანთ მუჭაჭირი-

გადასხლება და 3) ქართველ მაცმადიანთ სოფლები საქართველოში.

დაუბეჭდავნი მაცქს ოცამდე სხვა წიგნი. **რომელი გაზ. უფრო ეხებოდა ამათ ცხოვრებას? „ბათუმის გაზეთი“** ზირველ ნომრიდანვე შეესო აჭარელ ცხოვრებას და მის შესახებ აქ სშირად იბეჭდებოდა წერილები რედაქტორის ა. კელიძისა და ისევე ამ გაზეთმა ბევრს ქართველ მაცმადიანს შეასწავლა წერა-კითხვა, შეაყვარა გასეთის კითხვა და ზოგმა წერაც დაიწყო ამ გასეთში. ამ გასეთში მარტო ჩემი წერილები დაიბეჭდა

100-ზე მეტი სამი წლის განმავლობაში ფელეტონებად, რასაც ქართველი მაცმადიანები დიდის ხალხით კითხულობდნენ თურმე. **ზ. ჭიჭინაძე**

ძარტ. სკოლების გახსნას ძარტოვლი მაჰმადიანები

თ შ ი თ რ ე ვ ე თ ხო უ ლო ბ ა ნ ე . „სახალხო ფურცელში“ (№ 310) მასწავლებელი მიხ. კანუყვაძე იწერება: „ქობულეთის სასოფლო საოლქო სასამართლოში შეიკრიბნენ ქართველ მაჰმადიანების რვა სოფლის წარმომადგენელნი და გამოიტანეს შემდეგი დადგენილება:

„1915 წლის მაისის 12 დღესა, ჩვენ, ქობულეთის სოფლის ოლქისა, კინტრიშის მაზრის, ბათუმის ოლქის მცხოვრებთა კრწმუნებულნი შევიკრიბენი თ ქობულეთის სასოფლო საოლქო სასამართლოში და ქობულეთის მამასახლისის თანადსწრებით შემდეგზე ვიქონიეთ მსჯელობა: დიდიან ბათუმის ოლქის რუსეთთან შეერთებისა, სკოლის საქმე ჩვენში რიგიანად ვერ მიდიოდა. ამ ყამდ ხალხმა შეიგნო სკოლათა გახსნის საჭიროება და აუცილებლობა, თანაგრძობით ეკიდება ამ საქმეს. ეს გარემოება ჩვენს თაობას საშუალებას მისცემს გაუთანასწორდეს და გვერდში ამოუდგეს მცხოვრებთ, რომელთაც უკვე ჰქონიათ სკოლები. ჩვენ, ქობულეთის მცხოვრებნი, ქართველები ვართ, ხოლო მაჰმადიანური სარწმუნოებისანი. ჩვენი სამშობლო ენა ოსმალეთის მფლობელობის დროსაც და დღესაც ქართული ენა ყოფილა და არის. ჩვენ და ჩვენს ბავშვებს მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენა გვესმის. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ჩვენს სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე იყვეს. ეს საჭიროა და აუცილებელი არა მარტო პედაგოგის მხრით, ბავშვებისათვის რუსული ენის შეთვისების გასაადვილებლად, არამედ საჭიროა ბავშვების, მოსწავლეთა სკოლაში მოსაზიდადაც. როდესაც ჩვენ, მშობლები, დავინახავთ, რომ სკოლებში ჩვენს მშობლიურ საქართულს ასწავლიან და მისი მეოხებით ბავშვები კარგად შეითვისებენ სახელწიფო რუსულ ენას, სიამოვნებით მივაარებთ შეილება სასწავლებელში და არსებული სკოლები დღევანდელივით ცარიელი აღარ იქნება. ყველა ამიტომ ერზომად ვადგენთ: ახლავე ვიშუამდგომლოთ სათანადო სამოსწავლო მმართველობასთან, რომ ჩვენს ოლქში შემოღებულ იქმნას ქართული ენის სწავლება. ამისათვის ჩვენს დადგენილებას ვუგზავნიო მე-მარაიონის ინსპექტორ.“

ქართველ მაჰმიდიანთა ლექსები

უაჩაღის სიმღერა

(სებურა გაგალიძის მიერ თქმული)

დავჯდე და წიგნი დავწერო,
ჩიტ გავეტანო ხებრათა:
აგი საყვარელ მუტანე,
ველარ ვესტუმრე ჩქარათა.
აბდულბეგი ზალიან მეზებს,
ამდგარი არის ჯარათა.
იმას-და ველარ ვესტუმრე,
კურცხალი მომდის ღვარათა.
ერთი გოგოზე აი დამჩა,
ნუ დეანახავთ-და ბეგრათა.
მე რომ მოვეკდე, სხვას შიეციო,
მე რომ მჯობდეს თვალტანათა.
ჩემი ყამა და ქემერი
თან გავეტანოთ ზითვათა.
სელამსა რომ შამოგითვლი
გამომფრინავალ ჩიტითა.
ეს-და ზალიან მენატრება
მე, რომ სული სიმწარითა.
ქვეყანა მტერად ემიდგა,
მონდობილი ვარ გულითა.
შენც რომ აღარ მიკადრო,
დევეტყვება-და ენითა.
სათუთ ბატონმა მომწერა:
„შენი ვარ ღმერთის ემრითა.
ვევდი არ გევეთხუები,
სიტყვას გირივი გულითა.
საყვარელ, კარგა დეამალვი,
არ მომიკლან უურუმითა.
ოჲ, მისი სულის ქირიმე!
ლაშაზია დვალტანათა.
რა ჩეთინია გულის სევდა!
სულის სიმწარით დავდნები.
გულში მერაყ რომ ჩამვედებ,
გაბუკვილივით დავჯდები.
მე თუ სხვა ქალს შევხედო,
გემიქორდს-და თვალები!
ან და ყალა სხვამ ითხუოს,
უმისოდ რაფერ დავდგები?
საყვარელ, შენი ქირიმე,
ამოგკოცნო-და თვალები!
შენ მარტო, მე სხვა არ მინდა,
ას ოთხ ქითაბ გეფიცები.

თაგვი და კატა

(თქმული საილე აღანიძის მიერ)

თაგვი ავად გამხდარიყო,
კატა მიედოდა სანახავათ:
—„რა გქირს, ჩემო ყურჩქმეტიავ?“
—„შე რა გინდა, შე ყურ დილო?“
კატას სიზმარი უნახავს,
ავათ-ყოფი თაგვი უნდა.
—„ამ სირაჲ დემეთხუე,
ზალიან სიცოცხლე მინდა.
უქეჲფური დემინახე,
ზალიანაც გეგინბარდა.
სამ წელიწად რომ ავად ვიყო,
კატის ნახვა მე რათ მინდა?
წავალ ჩემ ხელით მოგიყვან,
რაცხა მეტი თაგვი გინდა.“
—„გოჲ, ვოჲ, შე თაგვი,
რას ებლაყუნები?
მე მიგინხვი შენ ღუბარას,
სიცოცხლიდ-და წასვლა გინდა.
გაბარვით-და წასვლა განდა.“
ერთი ლესკი გამევეგონოთ,
გურჯიჯ-და სიმღერები!
კატამ თაგვი დეიქირა,
ჩამოკაკლა-და ცრემლები:
„შვილები ღეთიმად დამჩნენ,
არ ვის არ შევებრალები.
ხეს და ქვას შევებრალები
ახლა რაღაი უნდა ვქნა?“
დაჯდა, ერთი მეტირა.
თაგვი კატას მიჩქმდა:
„შიშმა შიადნო ბარკალი.
ამ ლესკისა გამომთქმელსა
ქვანელს ეტყვიან ფირალსა.
ამ ლესკისა გამომთქმელი
ნახვეარზე ბეჩრაო,
კატას და თაგვ ვინ უყურა?
სულთელი-და ტყვილიაო.“



ახალი გაგონება

ვეკლასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა აზსნა-განმარტება
შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორედ შეესწავლულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული) წიგნი აზსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქოვილი მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ზღლისმოშწერთათვის გაგზავნით ღირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შელავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის ღირს 1 მან., დანარჩენიც—წიგნის გამოსვლის ვაშს).

ხელის მოწერა მიიღება: ეურ. ბთეაქციაში „სორაპანი“-ს სტამბაში) ფოსტით: Тифлисть, Имедашвили. „Театри да Цховреба“

„Театри да Цховреба“
„Имедашвили“
„სორაპანი“-ს სტამბაში

ავტორი
იმედაშვილი

გამოსვლა 1916 წ.
ყოველწიწიერულ სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ეურნალ

წლიურად 5 მ.
ნახევარი
წლით 3 მან.

„თეატრი და ცხოვრება“-ზე

იუმორისტულ განუოფილებით და შარყებით

„თეატრი და ცხოვრება“ ყოველგვარ ჯგუფურ-დასურ მიმართულების გარეშეა ეურნალი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს სცენის, სიტყვა-კაზმულ მწერლობის, მუსიკის, ქანდაკების, საბატერო-სახელოვნო და საზოგადოებრივ მოვლენათა გარკვევის. ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარტეატურო პიესა.

შ ა ს ი: წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., 1 თვ. 40 თითო ნომერი 10 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის ღირს 2 მ., მარტის გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

ელმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ეურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად“-ში, „ცოდნას“ წიგნთსაიექროში, რკინის გზის სახელოსნოში—აღ. ძაძამიასთან, ქუთაისში თ. შთავრაძეაძის წიგნო საყაჭროში ს. ეპიტაშვილთან

მიიღება განცხადებანი ეურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი: 1 ევ. ორიგებით, 2, გვ. კორპუსის პუკარი ერთ სვეტზე 25 კ. 3-ზე—20 კ., 4-ზე—15 კ. ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисть, Ред. „Театри да Цховреба“ Иосифу Имедашвили

რედაქტორ-გამომცემელი ანა იმედაშვილისა